ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №608324

ნომერი: AR1117560

თარიღი : 19.03.2013

გაცემის თარიღი : 27.03.2013

გაცნობის თარიღი : 27.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიკლაური პ/ნ 01009002032
- ვაჟა-ფშაველას გამზ, IV კვარტ, კორპ 22, ბ 24

ორგანიზაცია:

- შპს საქ საერთ ენერგეტიკული კორპორაცია კოდი: 230866783

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2012წ. #469481 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 19 მარტს #არ1117560 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი წიკლაურმა და მოითხოვა სამსახურის 12.12.2012წ. #469481 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: საპროექტო შენობის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართად 524.3 კვ.მ.–ის ნაცვლად 514.3 კვ.მ.–ს დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსდის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. #6–ში შეთანხმდა გაზგასამართი სადგურის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ სამშენებლო დოკუმენტაციაში, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში, დამკვეთის მიერ შეცდომით იქნა დაფიქსირებული საერთო ფართი – 524.3 კვ.მ., რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

სამსახურმა გადაამოწმა შეთანხმებული საპროექტო დოკუემნტაცია და დაადგინა, რომ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული, საერთო ფართში შემავალი, სხვადასხვა დანიშნულების ფართების ჯამი 524.3 კვ.მ.–ის ნაცვლად უდრის 514.3 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და საპროექტო შენობის საერთო ფართად დაფიქსირდეს 514.3 კვ.მ

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 12 დეკემბრის #469481 ბძანებაში და საპროექტო შენობის საერთო ფართად დაფიქსირდეს 514.3 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 12 დეკემბრის #469481 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.